



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტი ჩამოყალიბდა 2007 წელს, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დაარსებისთანავე. დეპარტამენტს 2007-2011 წლებში ხელმძღვანელობდა ასოცირებული პროფესორი იგორ დოლიძე. 2009 წელს ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე შეიქმნა ფუნქციური მორფოლოგიის დეპარტამენტი. დეპარტამენტის ფიზიკური დატვირთვის ფიზიოლოგიის და ბიოქიმიის მიმართულებას (2013 წლიდან დეპარტამენტს) ხელმძღვანელობდა ასოცირებული პროფესორი მანანა რუხაძე, ხოლო დინამიკური ანატომიის და ნეიროანატომიის მიმართულებას (2013 წლიდან კერძო დინამიკური ანატომიის დეპარტამენტს)-ასისტენტ პროფესორი გრიგოლ სულაბერიძე. აღნიშნული დეპარტამენტების ინტეგრაცია ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტში განხორციელდა 2017 წლიდან. 2011 წლიდან ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელია პროფესორი ლელა მასხულია. დეპარტამენტში ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტები ეუფლებიან ფიზიკური მედიცინის ძირითად დისციპლინებს, იძენენ თეორიულ ცოდნას ქმედუნარიანობის შეზღუდვით მიმდინარე პათოლოგიების პრევენციის, დიაგნოზის დადგენის, სარეაბილიტაციო პროცესის დაგეგმვასა და მართვაში, ისევე როგორც პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ფიზიკური რეაბილიტაციის თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებაში. დეპარტამენტის ბაზაზე ხორციელდება სამაგისტრო პროგრამა “რეაბილიტაციასპორტში” და სამაგისტრო პროგრამის „პედაგოგიური რეაბილიტაცია“ მნიშვნელოვანი ნაწილი.

დეპარტამენტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი თემატიკა: გულ-სისხლძარღვთა და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემების ადაპტაცია ფიზიკურ დატვირთვაზე; ოქსიდაციური სტრესის როლი გულ-სისხლძარღვთა და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემების ინტენსიური ფიზიკური დატვირთვით განპირობებული დაზიანებების პათოგენეზში; გადაწვრთნის ფენომენის პორტში; ფიზიკური რეაბილიტაცია საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის სპორტული დაზიანებების და მათი გართულებების

დროს; მუხლის პოსტტრავმული და პოსტოპერაციული ართროფიბროზის ფიზიკური რეაბილიტაცია; მხრის რბილი ქსოვილების დაზიანების მართვა ფიზიკური აგენტების ზემოქმედებით; ფიზიკური დატვირთვა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პრევენციასა და რეაბილიტაციაში.

ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი ამჟამად: ლელა მასხულია, პროფესორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი; მარინე მათიაშვილი, ასოცირებული პროფესორი; ანა გოგელია, ასოცირებული პროფესორი; გრიგოლ სულაბერიძე, ასოცირებული პროფესორი (დინამიკური ანატომიის განხრით); ზურაბ კახაბრიშვილი, ასოცირებული პროფესორი. მოწვეული მასწავლებლები: ვალერი ახალკაცი, თამარ ჩუტკერაშვილი, ხათუნა ურუშაძე, ლალი გაბაშვილი, სოფიკო შაგიძე, მზია ფუტყარაძე, თემურ მიქიაშვილი, მაია ნემსაძე, მერი პატარაია, ეთერ აბაიშვილი, იზა რევია, მიხეილ გორშკოვი, იგორ დოლიძე, ელენე წკრიალაშვილი, ნინო გორდულაძე, სოფიო ცინცაძე, გივი კობერიძე, თეონა შავშიშვილი, მადონა მოდუ; ლაბორანტები: მაია ნემსაძე, ელისო ეფრემიძე.

